245/2

ჟურნალი

მარტი — აპრილი — 1945

პროლეტარეტნო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო!

პ.ი.ო.ნ.ე.რ.ი

საქ. ალკკ. ცენტრალური კომიტეტის
უოველთვიური საბავშვო ჟურნალი

№ 2-3

1945 წ. მარტი—აპრილი

წელიწადი მეჩვიდმეტე

გამომცემლობა „კომუნისტი“

ПИОНЕРИ

№ 2-3

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ДЕТСКИЙ ЖУРНАЛ ЦЕНТРАЛЬНОГО
КОМИТЕТА ЛКСМ ГРУЗИИ

(на грузинском языке)

Издательство „Комунисти“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაყვალა მრევლიშვილი

მებრძოლთა დედა

ორგზის ორდენოსანს გვარდიელს კ. ხოტოლაგას

ღ
ა ეძვარდს მოარღვევს სიმღერა მკვეთრი
თავეზზე, მებრძოლთა დედო, დედებო,
არ დარჩეს ერთი ბაშლილი მკერდი
იმ ფრფელ სიმღერას არ მიეგებოს.
ცვალდაცვალ სდევდით ჯარს სახელოვანს,
ზღვა და ხმელეთი გადაიარეთ,
ალაფვით გულით, სათუთ ხელებით
გზადაგზა კეურნავთ ძოგილთ იარებს.
ეხლაც იყა ხართ, ღრუბლის ხვიმირით
მტერს სადაც აწვიმს ტყვიების ცეცხლი,
თეთრი წინსაფრით, მშვიდი ღიმილით,
და ადრიანი ბალარის ვერცხლით.
თავზე ეშლებით უმფოდ მფოლარს
ფრთხილად უამებთ გახსნილ ჭრილობას,
და თანაგრძნობით, სიცოცხლის ფონს
მიაწვდით ქართულ დედა-შვილობას.
შეირგებს ამაგს თქვენი ხელიდან,
სისხლსაც შეივსებს მკერდით ნაფლინებს, —
კვლავ მოსწყურდება ბრძოლის ველი და
მტერთან შებმას კვლავ მოიწადინებს.
თქვენს ამაგს შვილზე ცრემლით მოისმენს
მოხუცი დედა დაგლოცავთ გულით, —
ომის ამაკვს რომ იტყვის როდისმე
ვაჟკაცი სახლში დაბრუნებული.
ეტყვის: დავიბერ, დავეცი დედ,
ყინვა იყო და არა მცივდა,
მაგ შინ, წარის შარამაინდედ,
იმ უცხო ქალის მაგლში სხვიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4091



ვ. მაიაკოვსკი

ვლადიმერ ილიჩ ლენინი

(ნაწყვეტი პოემიდან)

პარტია არის
ხელახემალი მუშათა კლასის,
და ჩვენი საქმის უკვდავება
არის პარტია.
ერთადერთია,
რაც არასდროს არ მიღალატებს
და—დღეს ნოქარი—ხვალ
სამეფოთ მოვშლი ქარტიდან.
კლასის ტვინი,
კლასის საქმე,
ქალა კლასის,
მისი დიდება—
აი პარტია.

ჩვენი პარტია და ლენინი
ტყუვნი არიან.
ვის ამჯობინებს
ისტორია სამართლის მჩენი?
ჩვენ ვამბობთ—ლენინ,
და ვგულისხმობთ
მუდამ პარტიას,
ვამბობთ—
პარტია
და ვგულისხმობთ—
ლენინ, ჩვენი.

ჯ. პაუსტოვსკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინი და თაირიელი

(ნაწყვეტი „ყარაბულაზიდან“)

საბჭოების დიად ყრილობაზე მოსკოვში ჩამოვიდა მოხუცი თურქმენი ფაირედინი.

უთხრა ლენინმა ფაირედინს: — „აი ხალხი ამაყობს მსუქანი ხორცლითია და ტკბილი ყურძნით, ტყავითა და რბილი მატყლით, ბაღლეზეებიანი ტყითა და ქვირითიანი თევზით. შენი მხარე კი რითია მდიდარი?“ ფაირედინი სდუმს. ლენინი განაგრძობს ლაპარაკს: „აი მოვიდა ყრილობაზე მოსკოვში ყველა, და თვითეული გვიამბობს თავისას, შენ კი, მარტო შენ სდუმხარ. სთქვი შენი სათქმელი, მეგობარო, ნურაფერი გაშინებს. რით ცხოვრობთ თქვენს მხარეში, რას მოელით დროისაგან?“

მაშინ ატირდა ფაირედინი, გაიშვირა ხელები ფაბჯრისაკენ: იქ, მდინარის პირას მაღალი ბალახი მოსჩანს, ნიავი ჰქრის და მოაქვს ხასხლეში სურნელება მდიდარი ხეებისა, რომელთაც ფიქვი ჰქვია.

და ამბობს ფაირედინი: „ამხანაგო, რა შემიძლია ვთქვა მე, მოხუცი თურქმენს აბდალჰათა გვარისაგან, რა უნდა გითხრათ თქვენ ყველას? რას მოველით დროისაგან, როდესაც ეს დრო გვპარავს უკანასკნელ წყალს ჭებიდან და სილით ჰფარავს გუშინ გაშენებულ ენგანს? მე ყარა-ყუმიდან ვარ. მდიდარი ვართ ჩვენ სიღარიბითა და წყურვილით, სილითა და მარილით. შენ ფიქრობ, იოლდაშ*, ღატკოთა ბედნიერებაზე, ჩვენ ვფიქრობთ წყალზე. მაგრამ არ არის წყალი! ალაჰმა გაამრო ჩვენი მიწა ათი წყლის სიღრმეზე, წვიმაც კი ზრუბა ისე, რომ მიწას ვერ აღწევს. სილის ქვეშ მიდიან მდინარეები მაგრამ მწარეა მათი წყალი, როგორც სპარსული ფოროთინხლის ქერქი. თემურის დროიდან ჭკნება ჩვენი ქვეყანა. რა ვქნათ, ამხანაგო? ჩვენს ქვეყნიერ ყველა მიწა დაკავებულია, და აღარ გვაქვს ჩვენ ადგილი დედამიწაზე. შენ დიადი და ძლიერი ხარ. შენ დიდი კაცი ხარ, შენ მახვილი ყური გაქვს და ბასრი თვალი, მაგრამ რით შეგიძლია შენ დაგვეხმარო ჩვენ, თურქმენებს? ამიტომ ვსდუმავარ ამ დიად ყრილობაზე“.

მაშინ ლენინმა გაიცინა და უთხრა ფაირედინს: „რაც არ შეუძლია ალაჰს და არ შეუძლია თემურს, იმას გააკეთებენ ბოლშევიკები, ფაირედინ“.

ფაირედინმა გადააქნია თავი.

„თუ შენ გვერდით მიჰყვები კუზიანს,— უპასუხა მან, — არ უნდა გაიმართო მთელი შენი სიმაღლით, რომ მისი კუზი სხვებისთვის არ შეიქნეს შესამჩნევი. თუ შენ ელაპარაკები ადამიანს, ყარა-ყუმიდან მოსულს, ნუ დასცინი მას და ნუ შეპირდები შეუძლებელს“.

ასე სთქვა ფაირედინმა და გულნატკენი წავიდა.

მაგრამ სასწაული მოხდა. შემოდგომისას ფაირედინის კარვამდე მიაღწია ხმამ, რომ ხორეზმში მრავალი ინჟინერი ჩამოვიდა, მოვიდა მანქანები, რომლებიც რკინის აქლემებს ჰგვანან, ნავებიდან გადმოაქვთ ცემენტი და ბოლშევიკებს სურთ გაუმეან წყალი ამურ-დარიის ძველი კალაპოტით, რომელიც უხსოვარ დროიდან ამომშრალია. ამ ძველ კალაპოტს უზბეი ეწოდება; ეს მდინარეს უქცევს გვერდს და სხვა მხრივ მიდის, მიდის შორს, ძალიან შორს, ქარაგნების ათი დღის სავალი გზის მანძილზე, ყველაზე უწყალო უდაბნოში.

ფაირედინს გაეცინა ბოლშევიკების ბავშვობაზე. მათ რა იციან, რომ უზბეის აქვს

* ამხანაგო.

ფსკერი მაგარი სილისაგან და აქვს ფსკერი ისეთი სილისაგანაც, რომელიც წყალს იწოვს, ვითარცა ათასი კამეჩი, სამ დღეს ნამწყურვალები რომ არის. შეგიძლიათ უზბოიში მთელი ზღვა ჩაუშვათ, მაგრამ სილა მას ერთ საათში შეიწოვს და დასტოვებს მხოლოდ მკვდარ თევზებსა და მწარე ქაფს. არ შეიძლება უდაბნოს დაძლევა, და ტყუილად როდია გაჩენილი აქლემი.

ფაირედინი იცინოდა, ბოლშევიკები კი თხრიდნენ არხს და აგებდნენ საგუბარს. უზბოის ფსკერს იმ ადგილებში, სადაც სილა ფხვიერი და მოძრავი იყო, ცემენტს ასხამდნენ.

და აი დადგა დიადი ზეიმის დღე. ანკარა წყალი წამოვიდა ამოდან უზბოიში, და სილამ ერთი ვედრო წყალიც ვერ მოიპარა...

ფაირედინმა დაპკლა ცხვარი, მიიპატიჟა ყველა. სტიროდა სიხარულით და აჩუქა ბავშვებს გასართობად თავისი მწვანე ჩალმა, რომელიც შექაში იყიდა, სადაც მან, ვინ იცის, რამდენი ცრემლი დადვარა წინასწარმეტყველის სალოცავ შავქვაზე სასწაულის მოლოდინში. მოხუცი ფაირედინი წყლის განმანაწილებლად დადგა ახალ არხზე და ამაყობს თავისი მოვალეობით.

ნასატი მ. დაუშვილისა

გიორგი ქუჩიშვილი

პიონერთა შეკრებაზე

ჩუ!
ზარის ხმა!
ჩემს კარებთან
აწკრიალდა
ბავშვთა ხმები!
უსაყვარლეს
ნოჩჩ მეგობრებს
აღტაცებით
ვეგებებები!
„პიონერთა შეკრებაზე
ჩვენი რგოლი
გიწვევო, კია!“
მეზობლებს ერთხმად
და პასუხიც
ერთი იყო:
შემიძლიან!
და გავყევი...
სკოლის კართან
წამოვიდა
ბავშვთა ტალღა
და ამ ტალღამ
ბუზგაულივით
ამიტაცა უშალ მაღლა!
აი კლუბი:
აჭ, სცენაზე
„კოცონია“
შუქით სავსე;
ალერსით და
ტკბილ [ტიკტიკით
საბარძლში_მომათავსეს.
მახარებდა მათი სიტყვა
და ლექსები
მათგან თქმული;
სიმღერები,
ტანცარაკაზი,
ყივეიები და...
ტაშ-დაკლური!
საპატიო პიონერად
ამირჩიეს ერთსულოვნად
და ფითილი ყელსახვევიც
გამიკეთეს ნიშნად,
ხსოვნად!
ფიციც დავდე,
რომ გულმტკიცედ
შევინახავ
მათს ყელსახვევს,
რომ არასდროს
არ შევარცხვენ
საპატიო ქვირფას სახელს!
და სარდლობამ
თუ მიბრძანა,
თუ მეც
ომში გამიძახეს,
როგორც_ფითილარმიელი
დროზად გავფლი
ამ ყელსახვევს
და შაუხანით მეკვეთები
ჩვენი საზღვრის
გადმომლახველთა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანდრო გაბრი

კაუმარჯოს კომუნას

პარიზის კომუნის დაცემის ამბავი მან საავადმყოფოში გაიგო. დაჭრილების რიცხვი დღითი დღე მატულობდა, საავადმყოფოში საწოლები აღარ ჰყოფნიდათ, ამიტომ იგი, თუმცა ჯერკიდევ სუსტად იყო, მაინც სასწრაფოდ გაწერეს.

მაისი იწურებოდა. მზის სხივები ოქროსფერ იერს აძლევდა გასისხლიანებულ პარიზს. გვამები ყოველ ნაბიჯზე ეყარა. აქა-იქ იდგა შედედებული სისხლის ტბორები. ირგვლივ ბზიოდა უამრავი ბუზი. იგი მიდიოდა და გაშტერებული უყურებდა ყოველივე ამას. სახლების ჩამონგრეული კედლებიც თითქოს გაშტერებული უცქერდნენ ამ ხამინელებას.

ღონემიხდილმა მიეხვია ვიწრო ქუჩით და შეავიდა ერთ პატარა კაფეში. გარეტიანებული შიუჯდა მაგიდას და უსაზღვრო სევდამ მოიცვა. მხოლოდ მარტის დღეებში იბრძოდა იგი სახელოვანი კომუნარების მხარდამხარ, შემდეგ ტიფი დაემართა, ერთხანს უნეგეშო მდგომარეობაში იყო და ახლოლდ ახლა, როდესაც კომუნარებსასე სასტიკად უსწორდებოდნენ, იგი ხანგრძლივი ავადმყოფობით დასუსტებული, წვერულვაშმოშვებული ჩრდილივით დაბარბაცებს საკოდავი პარიზის ქუჩებში...

უეცრად ხმამაღალი ლაპარაკით კაფეში სამი ოფიცერი შემოვიდა. ისინი მოუსხდნენ მაგიდას და კონიაკი მოითხოვეს. ერთმა მათგანმა თვალი მოჰკრა კუთხეში მიმჯდარ, ფიქრებში წასულ კაცს და უკმეხად დაუყვირა:

— ვინა ხარ შენ!?

— ჟან ბაპტისტ ლეფევრი. სტუდენტი.

— მართლა? — წამოიძახა ოფიცერმა. — ბატონებო,—მიუბრუნდა იგი ოფიცრებს, — შეხედეთ ამ შაფერას. ეს ლეფევრია — კომუნის ბატალიონის მეთაური.

— ბატალიონის მეთაური? — გაკვირვებით იკითხა სტუდენტმა. — თქვენ ალბათ სხვად შემიტანეთ.

— ნუ სულელობ, არამზადავ! — დაიღრიალა ოფიცერმა და მიიჭრა მასთან.

— როგორ მიბრალავთ?.. თქვენ ალბათ მთვრალი ხართ?..

— ხმა გაიგმიდე! გეყოფა ლაზღანდარობა! ადექი, გამომყევი! — და სამივე ოფიცერი მიჯარდა მას და გაათრიეს გარეთ.

ქუჩაში მათ ბრბო აედევნა. კიდევ კომუნარი დაუჭირიათ, მასაც ჩაადაღლებენო. ერთმა კოსწაად გამოწყობილმა ქალმა მიირბინა მასთან და ქოლგით ქუდი გადაუკეთო თავიდან. მან მოინიდო ქუდის ალება, მაგრამ ერთ-ერთმა ოფიცერმა პანღური ჰკრა მას. ბრბომ გადაიბარხარხა. ასე მოუახლოვდნენ ისინი რესტორანს. აქ, აივანზე ვენერალი სხვა ოფიცრებთან ერთად სუფრას უჯდა. როგორც კი თვალი მოჰკრა ოფიცრებსა და მათ ტყვეს, აივნიდან გადასძახა:

— კიდევ ახალი? კაპიტანო ლორენ, ვინ არის ეგ შაფერა?

კაპიტანმა სამხედრო სალამი მისცა და უპასუხა:

— კომუნის ბატალიონის მეთაური ლეფევრი.

La commune ou la mort—კომუნა ან სიკვდილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ლეფეკრი? ძალიან კარგი, — სთქვა მან და გაიშვირა ხელი, რომელშიც ჩანგალი ეჭირა, ბაღისაკენ.—კედელს!

კედელი 30 ნაბიჯით იყო დაშორებული რესტორანს. მანძილი სიცოცხლიდან სიკვდილამდე მეტად მოკლე ეჩვენებოდა. ჯარისკაცებმა მიიყვანეს იგი კედელთან. ბრბო ნახევარწრედ შემოერტყა. კაპიტანი ლორენი გვერდით ედგა.

— თქვენ უნდა მოკვდეთ, ბატონო კომუნის ბატალიონის მეთაურო,— დასცინოდა იგი. — თქვენ შეგიძლიათ მითხრათ თქვენი უკანასკნელი სურვილი სიკვდილის წინ.

— ჭიუაზე ხართ შემლილი, ბატონო კაპიტანო. მე სტუდენტი ვარ...

— კომუნარი ხარ თუ არა? — გაკვეცილი კაპიტანმა.

ლეფეკრი იდგა. მის სახეს მზის სხივები ელალარსებოდა. კარგი იყო სიცოცხლე, ძნელი იყო სიკვდილი...

კაპიტანმა გაუმეორა შეკითხვა: „სთქვი, კომუნარი ხარ თუ არა?“

ახალგაზრდამ მაღლა ასწია თავი. მან იცოდა, რომ მეთაური არ იყო, მაგრამ სულით და გულით, მთელი თავისი არსებით კომუნარი ხომ იყო, და კომუნარი დარჩებოდა სიკვდილამდე...

— ღიახ, მე კომუნარი ვარ!—იყო პასუხი.

ფიცხლად შეტრიალდა კაპიტანი და ჩაამწკრივა ჯარისკაცები. გაისმა ბრძანება:

— ესროლეთ!

კანტიკუნტად გავარდა თოფები. რამდენიმე ტყვია კედელს შეენარცხა, ორი-სამი ძოხვდა ლეფეკრს. იგი შეტორტმანდა და კედელს მიეყრდნო. შემდეგ ორად ამოისუნთქა, გასწორდა და შესძახა:

— გაუმარჯოს კომუნას!

კაპიტანი ერთი ნახტომით მივარდა დაჭრილს, იძრო რევოლვერი და პირდაპირ სახეში დაახალა ტყვია. გაფითრებული სახე, შავი წვერ-ულვაშით შემოსილი, უკანასკნელად გაიბანა მზის სხივებში და პირქვე დაეშხო გასისხლიანებულ ასფალტს.

თქვენი მერხიდან წასული

ოდესაც ომის ხანძარი
ადგა კავკასის ცამდის,
მე თქვენი სკოლის მერხიდან
ფრთაგაშლილ მართვეს ვგავდი.
დავეტოვე ჩემი თბილისი
გაეჩნდი ქლუბორის კართან

და ჩემი მკერდით გავკეთე
კავკასთან ჯანღის ფარდა.
წაველ, რომ არ დაჰფენოდა
ჩრდილი მაგ სკოლის კარებს,
რომ ეწკრიალნათ ყოველთვის
ტკბილ ხმაზედ სკოლის ზარებს,
რომ ეყლურტულნათ ანბანი
პირველკლასელებს ლხენით,
ჩვენი ბრძოლების ამბავი
ეკითხათ გულის ძგერით.
დღეს ვარდებივით ოაქლაქებთ,
მკერდზე ყაყაჩო გშვენით,
და ამბებს დიდი ბრძოლისას
მკითხავთ გულების ძგერით.

ო, მოგიყვებით კარგებო,
არა ტყუილს და ზღაპარს —
ნახულს ჩემივე თვალით —
თქვენი ტოლების ამბავს.
და გეტყვით როგორ ჩაუქრეს
სიცოცხლის ლურჯი დილა,
როგორ აწამეს მხეცებმა
გოგონა, თქვენი კბილა...
რუსის პატარა ბიჭუნამ
სიცოცხლე ვით გასწირა
და ხელყუმბარა შეუნთო
ფაშისტთა შტაბის ბინას...
წუთით შეჰყარეთ წარბები,
ჩემო კარგებო, რისხვით.
არ დაივიწყოთ და-ძმების
და მამა-პაპის სისხლი.
იზარდეთ, იმხიარულეთ,
ცამდე ამალეთ მხრები,
ისწავლეთ ტრფობა მამულის
და სიძულვილი მტრების.

მეჩრმან ლებანიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვანო ნუღუკიძე

სასიქადულო მწერალი

24 თებერვალს მოსკოვის რადიომ ჩვენს ქვეყანას და მთელ მსოფლიოს საფუძნარო ცნობა,—ალექსი ტოლსტოის გარდაცვალების ამბავი აუწყა. ამ ცნობით აღძრული გულისტკივილი დიდხანს გაჰყვება დიდსა და პატარას, ყველას, ვისაც კი ა. ტოლსტოის ერთი მოთხრობა მაინც წაუკითხავს.

ალექსი ტოლსტოი დაიბადა 1883 წელს. ის გაღარიბებული გრაფის ოჯახის შვილი იყო. დედამისი,—ტურგენევის ასული ალექსანდრა,—სწერდა და ბეჭდავდა მოთხრობებს ბოსტრემის სახელით. ტოლსტოის ოჯახი ცხოვრობდა ვოლგის პირად სოფ. სოსნოვკაში. აქ გაატარა ბავშვობა მომავალმა მწერალმა. თავისი ბავშვობის ამბები მან ცოცხლად ადადგინა მოთხრობაში „ნიკიტას ბავშვობა“. ა. ტოლსტოი სპეციალურად ინქინერი იყო, მაგრამ ამ პროფესიას მწერლობა არჩია. ეს სამე მას ბავშვობიდანვე იზიდავდა. ჯერ კიდევ ათი წლის იყო, როცა დედის წაბალისებით დასწერა სოფლელი ბავშვის სტიოპკას თავგადასავალი, ხოლო, რაც უფრო შედიოდა სიჭაბუკეში, უფრო ფხიზლად და გამახვილებული თვალით აკვირდებოდა გარემოს, შინაურებს და მეზობლებს, ქალაქელებს და სოფლელებს, აზნაურებს და გლეხებს, ვაჭრებს და ხელოსნებს და მათგან მიღებულ შთაბეჭდილებებით ზედიზედ დასწერა მთელი წყება მოთხრობებისა და ამ მოთხრობების ერთ ჯგუფს უწოდა „ბებერი ცაცხვების ჩრდილში“. ამ ნაწარმოებებში ტოლსტოიმ რუსი აზნაურების ცხოვრება დაგვიხატა, ცოცხლად გვიჩვენა, თუ როგორ დაკნინდნენ ნაშიერნი ოდესღაც ბრწყინვალე წოდებისა. ხოლო ის თუ რამდენად ასახიჩრებდა და აჩლუნგებდა გონებრივი შრომის ადამიანებს — თვითმპყრობელური რუსეთის პროვინციული ცხოვრება, მწერალმა ცოცხლად წარმოგვიდგინა მოთხრობებში „სოფლის სალამი“, „გასეირნება“, „მშობლიური ადგილები“.

1914-16 წლებში, — პირველი მსოფლიო ომის წლებში, ა. ტოლსტოი როგორც კორესპონდენტი, ძალიან ახლო გაეცნო ფრონტისა და ზურგის, ოფიცრებისა და უბრალო ჯარისკაცების, ქვეყნის მაშინდელ მესვეურთა სულისკვეთებასა და განწყობილებებს. ომს ბოჰყვა თვითმპყრობელობის დამხობა, დიდი ოქტომბრის რევოლუცია, საქმოქალაქო ომი. ა. ტოლსტოიმ მთელი სიმწვავით განიცადა ეს დიდი ქარტეხილი.

ნახული, გაგონილი და განცდილი სამ დიდ წიგნად დასწერა და სახელად „გზანი ტანჯვისანი“ დაარქვა. ამ ნაწარმოების დედაზარი ის არის, რომ ნამდვილ ბეჭდიერებას მიაღწევს მხოლოდ ის ადამიანი, ვინც ვიწრო პირად ეგოისტურ ინტერესებს გადალახავს, ვინც ხალხთან ერთად გადაიტანს სამშობლოს განსაცდელს, ვინც თავის ძალღონეს და სიცოცხლეს არ დაიშურებს სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

ხალხისა და რევოლუციისათვის თავგანწირული ადამიანები დაგვიხატა ა. ტოლსტოიმ მოთხრობა „პეტრში“, რომელიც ქ. ცარიცინის ბრძოლას აგვიწერს. ეს ბრძოლა, რომელსაც დიდი სტალინი ხელმძღვანელობდა, იყო ბრძოლა მთელი ახალი რუსეთის, მთელი რევოლუციის გადარჩენისათვის. თუკი ცარიცინი თეთრგვარდიელებს დარჩებოდა, მოსკოვს, პეტროგრადს და ცენტრალურ ოლქებს შიმშილი მოელოდათ, რადგან გადაიჭრებოდა ნორჩი რესპუბლიკისათვის პურის მიმწოდებელი გზები.

ალექსი ტოლსტოიმ რუსი ხალხის სახელოვანი წარსული გააცოცხლა შესანიშნავ რომანში „პეტრე პირველი“, სადაც მკითხველი ხედავს რუსეთის ნამდვილ ეროვნულ გმირს, რომელმაც მოდერიკა რუსეთის შემა-

ფერხებელი ბნელი ძალები, სასტიკად დაამარცხა შინაური და გარეშე მტრები და ამრიგად შექმნა ძლიერი და დიდათ გავლენიანი სახელმწიფო.

ალექსი ტოლსტოი ბავშვების, მოზარდი თაობის დიდი შეგობარი იყო, მათთვის მან საგანგებოდ გადაამუშავა „პეტრე პირველი“, ფანტასტიური მოთხრობა „აელიტა“ და დასწერა ღრმა ინტერესის აღმძვრელი საყმაწვილო მოთხრობები და პიესები: „კაპიტან გატერასის ამბავი“, „ოქროს გასაღები“, „თითქოს არაფერი მომხდარა“ და სხვ.

ა. ტოლსტოიმ ხალხის სიყვარული დაიმსახურა არა მარტო როგორც დიდად ნიჭიერმა შემოქმედმა, არამედ როგორც საზოგადო მოღვაწემ. ჯერ კიდევ ოქტომბრის დაწყებამდე, ის ხმირად ყამოდიოდა კულტურის მოღვაწეთა მსოფლიო კონგრესებზე, დაუნდობლად ამხელდა ფაშისტ ავანტიურისტთა ბარბაროსობას, აცინობდა მთელს მოწინავე კაცობრიობას ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ მიღწევებს, ნერგავდა და ამკვიდრებდა უცხოელთა შორის იმის შეგნებას, რომ საბჭოთა კავშირი ის ქვეყანაა, რომელიც გადაარჩენს მთელს კაცობრიობას ბარბაროსული ფაშიზმის საფრთხისაგან. სასიკადულო მწერალი მხატვრული სიტყვით და მხურვალე პატრიოტული მოწოდებებით ბრძოლის ცეცხლს აღვივებდა ფაშიზმის წინააღმდეგ საომრობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლთა გულებში.

ირაკლი აბაშიძე

შოშია

მიამბო ლენინგრადის გმირული დაცვის მონაწილემ ცნობილმა რუსმა პოეტმა ნ. ტიხონოვმა.

მრისხანედ იდგა ლენინგრადის გარშემო მტერი
რუსეთის ყინვით გათოშილი, არყით ნასვამი;
ქალაქის ძუჩეს ეცემოდა ყუმბარა ბევრი...
ასე დაიწყო 1943.

მტერს უხვდებოდა ჩვენი ცეცხლი გადამლოგელი
როგორც მოსკოვთან თავდაცვაშიც, იმ დიდ ომშიაც;
იდგა მარტი და გაზაფხულის მახარობელი —
ასიათასი ჩამოფრინდა უცვე შოშია.

ფრონტზე გაისმა მათი სტვენა ახლად-ახალი,
სანგრების თავზე დატრიალდა ბევრი ფრთოსანი
და რა იხილეს გადამფარი ნამოსახლარი
ზვივილ-კივილი აიტეხეს გასაოცარი.

მაშინ მტრის მხრიდან ატყდა სროლა გახელებული,
თითქოს მიზიდან ადგა ზვიმა კოკისსირული
და ბევრი სირი—გაზაფხულის მახარობელი
ციდან ფარშატით ჩამოვარდა გულგანგმირული.

ერთი ჩვენს სანგარს დაენარცხა, ლალი ფრთოსანი,
ტყვიადაკარული, სისხლიანი და გულსაკლავი...
მოგაკლეს მხეცებმა?
აიყვანა რუსმა ფრთოსანი
და ჩუმად იჯდე გაუთხარა ძმურად საფლავი.

კარლო კალაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიდუმლო ბარათი

(დასასრული)

V

ირგვლივ ცივი წყვდიადია
და არ ისმის ტყვიის სროლა.
მიხაილომ დაათვალილი
ეზოები გადაქროლა.
როგორც იყო გასცდა სოფელს
და მდინარის პირზე ბედათ,
თოფ-მომართულ ჯარისკაცებს
კურდღელივით შეეფეთა.
ქვა იყო თუ ქონდრის კაცი
ჯარისკაცებს ვერ გაეგოთ,
ხოლო როცა დაკვირდნენ
სასაცილოთ აღარ ეყოთ.
უხმოდ იდგა მიხაილო,
უცნობთ როგორ გაუცინოს? —
შეეყარა გერმანელებს
და გმირულად მოკვდეს ცდილობს.
გარს ხიმტებით შემოერტყა
ხელდავს, მტერი სახიზღარი.
და კარავში ძალით მიჰყავთ
ვით ძატარა პარტიზანი.
ჯერ საგზალი ჩამოართვეს
გაიხარეს იმით გული,
ლუკმა ძალით გასინჯეს
სჩანს ეგონათ მოწამლული.
მერე ჰკითხეს ვინაობა,
ძლივს გაიგეს მისი ენა...
მიხაილომ სიტყვასიტყვით
„ყველაფერი“ მოახსენა:
უთხრა: „მამით ობოლი ვარ
და მსურს ვიყო თქვენთან ერთად,
პურმარილით გამომგზავნა
დედამ თქვენდა შესახვედრად!..“
მაგრამ ადგა მეთაური
მოეწყინა ცალკე წოლა,
თანაც ალბად თქმის ჩექმა
პურზე უფრო მოეწონა.
სწრაფულ გაკრა, უბეებიც
გაუხსნიკა ძალისძალად...
და ბარათი მომალული
ყაჩაღურად აიცალა.
შეებრძოლა მიხაილო
და ტირილით მისწვდა ბარათს, —
რომ ნაწერი პარტიზანთა
სამტროდ ვეღარ მოეხმარაო.
მაგრამ ღონე აღარ ეყო,
დასცეს. ფეხზე ვეღარ იდგა.
გერმანელს კი სანთლის შუქზე
სურდა ცნობა წაეკითხა.
ხელში ბევრი ატრიალა
დააკვირდა ათასგვარად
და ძაინც ვერ გაძოიცნო
იგი ჩვენდა გასახარად.
— ვის დასწერა? — ჰკითხა ჩოლოს, —
ვინ იგონებს ასეთ ანბანით?
ის არა ჰგავს უკრაინულს,
არც რუსული არის ალბათ.
წაგიკითხავთ, — უპასუხა
მიხაილომ იმავ წამსვე:
— რა კი წერა არ ვიცოდი
წერილს აგრე მივამსგავსე...

მეთაურმა გერმანულად
შეგინა, შეჰქნა ძრწოლა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისევ ჩაწვა ქვეშაგებში,
ბარათი კი გადისროლა!
გზას გაუდგნენ გუშაგები
და კარავშიც მიიძინა.
ოცდაათი ჯარისკაცი
იწვა მიხაილოს წინა.
მაინც ადგა ფეხაკრეფით
როცა თმენით დაიქანცა, —
კვლავ დასტაცა ხელი ბარათს
და ჩექმებიც გაიტაცა.

VI

ირგვლივ ისევ წყვდიადია
და მინდორი დათოვლილი,
ნიავქარით ჩახრილული
ფლატეების ფართო ჩრდილი.
ღამე უხმოდ გადაივლის
და უმზეო დილითი, გვიან, —
თოვლში ჩვენი ცხენისნები
მიხაილოს იპოვნიან.
იგი ყინვით გათოშილა,
მიმქრალ თვალსაც ვეღარ ახელს,
მაგრამ შუქი ღიმილივით
დასჩენია ფერმკრთალ სახეს...
მიძინებულს არც კი ახსოვს
შტაბში როგორ მიიყვანეს,
და გრძნობს თვალებ დახუჭული
იმათ ზრუნვას, იმათ ალერსს...
წევს უსიტყვოდ, უილაჯოდ,
დიდხანს ასე განაცული.
ასადგომად იკრეს ძალას
როგორც თოვლქვეშ გაზაფხული.
ბოლოს, მაინც ახელს თვალებს
აზმიელთა გასახარად.
ეძებს თავის ჯიბეებში
საიდუმლოდ ნაწერ ბარათს.
გულითადი მისწრაფებით
გადაშლიან ბარათს უმალ...
მაგრამ, ხედავს მიხაილო
რომ ყველანი უხზოდ სდუმან.
ნუთუ მართლაც საგანგებოდ
არაფერი აწერია —
რომ ყოველთვის ამ თეთრ ქაღალდს
გაოცებით დასცქერიან.
ფიქრობს უკვე დარცხვენილი,
იხედება წარბებ-ზემოთ,
მაგრამ ერთმა არმიელმა
თქვა: ინაურს მოვახსენოთ!
და წერილით მეთაურთან
წამით ყველა მიიჩქარის,
უხალისოდ თავდახრილი
მიხაილოც მათთან არის.
ინაური გაშლილ ბარათს
გადახედავს და გულღიად
გაიხარებს: „დაკარგული

მზვერავები გიპოვნიათ!
სიტყვასიტყვით აღუნიშნავთ
მტრის ფაფული განლაგება...
და ამ ცნობის მოტანისთვის
უძაცრეს გმირსაც უთხრათ ქება!
გაუმარჯოს მიხაილოს,
მტერს დავესხათ მასთან ერთად!
სჩანს ეს დილა გერმანელებს
სასიკეთილოდ გაუთენდათ!
მაშ იმ მზვერავს გაუმარჯოს
თქვენთან ერთად ჰქონდეს ლხენა,
ვისაც აგრე დაეხმარა
ომში თვისი დედაენა!
ვინც ჭირშიაც ქართულ ანბანს
საიდუმლოდ ანდო ბედი,
და ბარათი მოიწერა
მტრისთვის უცხო, უცაბედი!“
ინაური მიხაილოს
ხელით მაღლა აიტაცებს.
— საბრძოლველად მოემზადონ!
გადასძახის ჯარისკაცებს
— აბა სწრაფად ... თორემ ტყეში
უგზო-უკეთოდ შეხიზნულებს,
მტერი ტყვეით ეშუქრება
და გულისთქმას შეისრულებს...
მათ სიმრავლეს ვერ გაუძლებს
პარტიზანთა რაზმი მცირე! —
და არც ტყვედ არ დანებდება, —
სასიკეთილოდ გაიწირენ?!
შემოვასტეთ ლურჯა ცხენებს,
ველი სწრაფად გადვიროლოთ, —
საბრძოლველად დაგვრჩენია
რამდენიმე წამი მხოლოდ!
თქვა და ჯარი აამხედრა,
შემოაჭტნენ ცხენებს მარდად
და ალიეთ აეარდნილი
დროშაც შუბით აიმართა...

VII

უეცარი ხმა აღმოხდათ
კვლავ ზარაზნებს ზეამართულნ,
გამოექცნენ ჯავშნოსნები
თოვლისფერად გაშლილ ფარდულთ.
მიიწევდა ველზე ტანკი
და გზადაგზა ხეებს ხერავ.
ყიჟინითა და იერიშით
აიმალნენ ყოველ მხრიდან!
გატყდა მტერთა ძლიერება,
სჩანს შეტევას არ ელოდნენ.
საიდუმლო განლაგებით
სანგრებიც ვერ მფარველობდნენ.
როცა ველზე შეხვდნენ რისხვას
ვრიგალივით ანაზღეულს,
როცა ბრძოლის დრო დაუდგა
ინაურის ათასეულს, —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიაფრენდა ლურჯა ცხენი
წინ, ინაურს ნაბადგაწლილს.
ელვასავით ხმალამართულს

გულდამფრთხალი გაურბოდა
გერმანელი ყოველ მსროლელს, —
და ის ველი ცხენოსნებმა
იერიშით გადიქროლეს...

უნაგირზე უჯდა ბავშვიც.
და ხედავდა მიხაილო,
როგორც გზა და კვალის მცოდნე, —
გერმანელი ურდოები
ტყეებისკენ ისწრაფოდნენ.
მაგრამ ტყიდან უარესი
ბედათ რისხვა შეეფეთათ, —
პარტიზანთა თოფის ტყვია,
ამარცხებდათ ხმალზე მეტად.
შორით გრძნობდა მიხაილო
რომ იბრძოდა მისი მამაც,
რომ შორიდან დაიჭექა
ძმის მრისხანე თოფის ხმამაც.
პარტიზანთა რაზმი მტკიცედ
უკანასკნელ ძალას ჰკრეფდა,
და მოსეულთ ათი კაცი
თავს ათასად აჩვენებდა...
ახლოც ვეღარ მიეკარნენ
ვით ციხეებს წლობით ნაგებს...
და, მამაცი მზვერავები
შეეგებნენ ამხანაგებს!...
ინაურთან ერთად სოფელს
მიხაილომ ჩაუქროლა.
გზაზე შეხვდნენ მოხუცები
მიულოცეს მტერთან ბრძოლა.
თავის ქოხსაც მიესალმა,
აღდგენილი იყო მკვდრეთით...
იდგა პაპა... და სარკმელთან
ფრთხიალებდა თეთრი მტრედი.

ალეკო შენგელია

ყვავილების სურვილი

Ია ვაჟკაცებს გაუმარჯოს, ყმაწვილებო.
კვლავ დამეხმარეთ ფიდება და ქება მათი,
ვინც მარადი გაზაფხული მოგვახარა,
დაგვიმკვიდრა გამარჯვების ფელიფადი.
ჩვენს ზეცაზე კვლავ გვიშუქებს მზე
ნათელი,
დათბა მიწა ომის სუსხით დაზაფრული,
შეხეთ ყლორტებს, სასიცოცხლოდ
გულგახსნილებს,
დაგვიბრუნდა გასახარი გაზაფხული.
კეკლუცოტნენ ჩემი ქვეყნის ყვავილები,
ყველა მათგანს საიდუმლო რამ აქვს
გულში, —
როცა გვირეკს თაიგული მეეკვნება
დაუდაუბდეს იმ სასურველ თაიგულში.

შემუსრა თავგასულმა ხანმა თბილისის შესანიშნავი ადგილები, შემდეგ აიყარა და მძიმე ნაალფეფეთ გაუდგა სპარსეთისაკენ.

მეფე ერეკლე თელავს გადასახლდა და მეფისეულ სასახლეში დამკვიდრდა.

1798 წლის 11 ივნვარს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, მეფე ერეკლე გარდაიცვალა თელავის სასახლის იმ დარბაზში, რომელშიც დაიბადა 78 წლის წინათ.

ერეკლეს სიკვდილი ჭლოვის ზარივით გაისმა საქართველოში.

40 დღე ესვენა ერეკლეს ცხედარი თელავის სასახლეში. ამ ხნის მანძილზე ერთი წუთით არ შეწყვეტილა მოსამძიმრე ხალხის დენა საქართველოს სუთხეებიდან. მოდიოდნენ, ხროდნენ სახელმწიფო, სამთავრო, საერისთავო და სამრეველო დროშებს, ფიცს სდებდნენ ერეკლეს სამეთა ერთგულებისთვის და აფრქვევდნენ ცხარე ცრემლს. სასახლის ეზოში იდგა უკუღმა შეკაზმული ერეკლეს ცხენი, რომლის ფეხითით ეგდო შუაზე გადატეხილი ხმალი მეფისა. შიგნით, დარბაზში, ერეკლეს კუბო ესვენა აბრეშუმის ხალებით, სუდარითა და ფინდაზით შესუდრულ ტახტზე.

40 დღის შემდეგ ერეკლეს ცხედარი თბილისს წამოასვენეს, სასახლისა და სიონის ტაძარში მცირე ხნით შეაჩერეს და უკანასკნელად მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარს ასტუნრეს სამუდამოდ დასამკვიდრებლად. მეფეს სამარე გაუთხარეს ამბიონის ქვების მახლობლად, დიდი აღსავლის კარების წინ, სწორედ იმ ადგილას, სადაც სახელმწიფო გვირგვინი დაადგეს და მეფედ აკურთხეს 53 წლის წინათ.

ბევრი რამ ითქვა ამ ისტორიულ ჭლოვის ჟამს, მაგრამ მათ შორის ყველაზე შესანიშნავი იყო სოლომონ ლიონიძის მიერ მეფის საფლავთან წარმოთქმული სიტყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დიდმა ქართველმა მამულიშვილმა ამ მეფლოვიარე ზეიმის წუთებში ასე დასარუნა თავფსი სიტყვა:... „დავაკლდით ერნი ქრისტიანენი მეფკვიდრესა, ბატონსა და საზოგადოსა მამასა... და მეფე ერეკლე— თავი განმგებელი ერისა; ხელი—მზრდელი ობოლთა; ძკლავი — მომგერებელი მტერთა და გვამი — შრომასა მოყვარე მისი, — საფლავში ირღვევა.

...სად არის ხელმწიფეე შენი ხელმწიფური განგება? რად შემოიხსენ ხმალი, რომლისაცა სადღესასწაულო გამარჯვება რიცხვით ხსოვნას ასცილდა?

...სად გიწყია უმამად ეგ ძლიერი ხელები?.. რად ასწავლე საყვარელ ქალებს საქალო კრძალულება, თუ კი თავმოხდილი ატირებდი? რად გაათამამე გული ლომებრთა მემკვიდრეთა, თუ კი სიმყარე უძლეველი მოეშლებოდი?..

ხელმწიფეე მფლობელო, საზოგადოვ მამავ, მეფე ერეკლე! ვის მივცე შენის უმაღლესის თავისა და უძლეველისა ტანისა ფზომო ტრფიალება? ვის დროშას ვემსახურო? ვინ შეგიყვარო? ვისთვის მოგკვდე? ვისთვის ვიცოცხლო, შენს უკან სიცოცხლე საზრახავად გამწარებულმან!“



ერეკლე მეორე

ნახატი ს. მაისაშვილისა

რიოლირი დაამარცხა ბალოახმა მუხა

აკვირველი სათაური აქვს ჩვენი საუბრის ნაწილს. მართლაც როგორ იქნება პატარა ბალახმა დაამარცხოს უზარმაზარი, სიმაგრის და ძირფესვიანობის სიმბოლო მუხა? მაგრამ აი ჯავახეთში მოგზაურობამ და შარშან და შარშან წინ მთაბორჩალოში მუშაობამ დამარწმუნა ამ ამბავში, რომ სამხრეთ საქართველოში, ჯავახეთის ზეგანზე, წალკაში, მთაბორჩალოში და სხვაგან ბალახს უჯობნია მუხისათვის და მის თანამებძოლთათვის. ტყე გაუდევნია ამ უზარმაზარ ფართობებიდან და თვითონ დასახლებულა. თეთრობის ხეობაში და მის კარიბჭეზე აზაკრეთთან, ჭობარეთის ტყეში და სხვაგან.

როგორ და რად მოხდა ეს უცნაური ამბავი?

ჩვენ რომ თანამედროვე ჰავა გავითვალისწინოთ ამ მხარეებისა, მალე დავრწმუნდებით, რომ იგი მეტისმეტად კონტინენტალურია, ზამთარი ცივი და გაუძლისი, ზაფხული ცხელი. გვალვა აგვისტოს ბოლოდან იწყება და ზამთარშიც გრძელდება. დიდი სიცხეებისაგან ზაფხულში წვიმის წყალი ნიადაგიდან სწრაფად ორთქლდება და ნიადაგში ნესტის ამტან მცენარეებისათვის საკმარისად აღარა რჩება.

ყოველთვის ასეთი გვალვიანი იყო ეს მხარე?

აბა ერთი ყური მივუგდოთ, ამ ორასი წლის წინათ დაწერილ წიგნში რას ამბობს შესანიშნავი დიდი მეცნიერი, პირველი ქართველი გეობოტანიკოსი, გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი.

„და მთა კეჩუთისა და ბოლოლისისა არიან უტყეონი და ხევთა შინა არს არყნალი და მთა ბალახოვანნი, შამნარიანი, ყვავილოვანი და წყაროიანი. აქ არის ყვავილი სუმბული, ფერით სპეტაკი, მგზავსი ნარისა მიწასა ზედა გარითხმული, სურნელი ვითარცა ამბარი და უმეტეს ფშოსანი და ეკლოვანი 94 მეფემან ვახტანგ მოიღო სავარდესა შინა, არამედ არ ჰყო ნაყოფი. ხოლო კეჩუთის მთასა შინა არს ირემთა სიმრავლე და ნადირთა“.

„არამედ ლუკუნის მთის ჩრდილოთ კერძ არს მდინარე ზურტა კეტისა. გამოსდის შანბიანის მთას და შეერთვის ქციის მდინარეს... არამედ მთასა ამას შანბიანი ეწოდების შამბ-ბალახის სიმაღლისაგან, რამეთუ ცხენსანი კაცი და რქოსანი ირემი არ გამოჩნდების, არამედ არის მთა ესე მაღალი და ვრცელი. ჩრდილოდამ სამხრით მდებარებს, მარადის არს თოვლი“.

ტყიოშემოსილი აქვს ვახუშტის ტაბისყურის ტბის ნაპირები, სადაც „ნამოვანი“ ტყეები ყოფილან გავრცელებულნი.

ამკამად ამ მხარეში მარადი თოვლით მოსილი მთები აღარ არიან. როგორც სჩანს, თუნდაც ამ ორასი წლის განმავლობაში იმდენად შეიცვალა ჰავა, რომ მარადი თოვლი აღარა რჩება, ცხელ ზაფხულს ვერ უძლებს; ნალექები იმდენი აღარ ჩამოდის. დიდი დანალექები ხომ პირველ რიგში თოვლის ბარაქის მაჩვენებელია. ცხადია

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარც მაღალი ბალახი, რომელშიც ცხენიანი კაცი დაიმალებოდა, აქ აღარ არის, ეს მაღალი ბალახიც მთაში პირველ რიგში სწორედ სინესტის მაჩვენებელია, მაშასადამე ამ 200 წლის წინათ იმდენად ნესტიანი ყოფილა ამ მთათა ფერდობი, რომ მაღალი ბალახი იზრდებოდა, რომელშიც „ცხენიანი კაცი“ და „რქოსანი ირემი“ იმალებოდა. დღეს ასეთი ბალახთა ნაცვლად აქ გაბატონებულია მშრალი ადგილსამყოფელოს მცენარეულობა, რომლის სიმაღლე კაცს მუხლამდე ძლივსა სწვდება. მთელს ზეგანზე გავრცელებულია ასეთი მშრალი ადგილის ბალახეული მცენარეულობა, ველის მცენარეულობა. რომ დავაკვირდეთ კი, თითქმის მთელი ზეგანი გარდა ტბებისა და ჭაობებისა, ტყით ყოფილა დაფარული. ეს ტყე უნდა ყოფილიყოს რამდენიმენაირი: ფიჭვნარი, ნაძვნარი. ამის ნიშნები ჩვენ ვნახეთ აზავრეთში, ალასტანში, ჭობარეთში, ტაბისყურის ნაპირებზე — მუხნარი მაღალ მთისა — ამის ნიშნებია მთელ ჯავახეთში, მრავალ ადგილას გადარჩენილია მიწას გართხმული ბუჩქნარი მუხისაგან შექმნილი, ასევეა მთამორჩალოშიც, სადაც მთის ველების ფარგლებში არამც თუ ამ მუხის ბუჩქებია გადარჩენილი, არამედ კარგი კორომებიც კი, მრავალ ადგილას კი გვხვდება ისეთი ბუჩქები, როგორიცაა ჭანჭყატა, უზანი, ჯაბველი და სხვა ასეთები (სოფ. ორთაშუა, ახა, ყარაბულახი, მამუდლო და სხ. მრავალი) ბევრგან ყოფილა მაღალმთის ტყე არყიანი მორთოლოვი ვერხვით, ცირცელით, დეკით— ასეთი ნაშთია დღეკანდლამდე შემონახული ამულ-სამსარის ქედზე და სხვაგან — ამ ტყის ნაშთების არსებობა სწორედ იმას ადასტურებს, რომ აქ ტყე ყოფილა. ამას მარტო ეს კი არ ადასტურებს, არამედ თვით ბალახებშიც კიდევაა შემორჩენილი ტყის წარმომადგენელი. მაგალითად, აღრე გაზაფხულზე მოყვავილე ყვითელი ფურუსელა, ნიადაგების კვლევამაც დადასტურა, რომ აქ ტყე უნდა ყოფილიყო, ტყეს ნიადაგი. და ამ ტყის ნიადაგის ნაშთები ბევრგანაა გადარჩენილი, მრავალი სოფელი, რომელიც ამჟამად მთის ველის ფარგლებშია მოქცეული, ეგრეთწოდებული „გურჯისტანის დიდი ვილაეთის დავთარში“* მოხსენებულია ტყიან ჯავახეთის სოფლებში. მაშასადამე, მეჩვიდმეტე საუკუნეში ამ სოფლებში ტყე ყოფილა გავრცელებული.

მაშ რამ მოსპო ეს მშვენიერი ნაძვნარები, ფიჭვნარები, მუხნარები, არყნარები და სხვანი, რომელნიც მოსავდნენ ჯავახეთის და საერთოდ ჩვენს სამხრეთ საქართველოს მთებსა და ზეგნებს?

როგორც სჩანს, ერთი მხრივ ჰავის გაუარესებამ და მეორეს მხრივ კი ადამიანის დაუნდობელმა მოპყრობამ ტყეებისადმი. იქ, სადაც ჰავა უარესდება არა ტყის სასარგებ-

ლოდ, რასაკვირველია, ტყის დაუნდობელი ჩეხვა, ტყეში საქონლის ძოვება ხელს უწყობს ტყის მოსპობას და მის ნაცვლად ქსეროფიტების, მშრალი ადგილების მცენარეულობის დასახლებას. და ადამიანმა ამ მხარეში თავის დაუნებლიედ ხელი შეუწყო ტყის განადგურებას—უზარმაზარი, ფესვებმაგარი მუხა ძირს დაეცა, მოისპო და მის ნაკვალევზე დასახლდა მუხასთან შედარებით პაწაწინა ბალახი, რომელმაც მიწაში მაგრად გაიდგა ფესვები და საშუალება აღარ მისცა მუხას და მის თანამომძმეთ აღმესულიყვნენ და გაეხარათ. სამხრეთ მთიანეთი ძველთაგან გამოყენებული იყო საძოვრებად. ზაფხულში აქ დიდი რაოდენობით

* გურჯისტანის დიდი ვილაეთის დავთარი. II წიგნი. 1940 წელი. ს. ჯიქიას რედაქციით. ესაა წიგნი, რომელიც ისმაილთის ხელისუფალთ შეუდგენიათ და რომელშიც ყოველ სოფლისთვის გაწერილია სახელმწიფო ხარჯი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერეკებოდნენ ცხვარს, ძროხას და სხვა საქონელს.

„ხოლო ტბა ფანავარისა — სწერს ვახუშტი ბატონიშვილი — არს დიდი და თევზით სავსე, არამედ არა გემოიანი, რამეთუ ზაფხულს დგების გარეშოს მისსა მრავალი არ-ვენი, ჯოგნი, მრავლენი, ხვსტაგნი ქართ-ლისა და კახეთისანი, და ნეხვი მისი გამდი-ნარისაგან თოვლისა შესდის ტბასა მას და იტყვიან მის გამო უგემურობასა“.

დღესაც ეს მხარე საზაფხულო საძოვარია ჩვენი ცხვრისა, რასაკვირველია, მოსულთა საქონელიც ადგილობრივებთან ერთად ხე-ირს არ აყრიდა ტყეში აღმონაცენს და ჭა-ვის გაურაესებასთან ერთად ბალახი ბატონ-დებოდა ხეზე.

— ტყეს, ჩემი ძმაო, აქ რა უნდოდა, მე არ მახსოვს და ჩემს მამამპაპას, ცხვარი ჩვენ გვარს სულ აქ დაუდიოდა. აი ეხლაც უდაბნოს ცხვარში ვარ, მესამე ბინის სარ-ქალი.

მედავება ერთი მწყემსი, რომელსაც თავ-კვეთილის ქვაყრილებზე შევხვდი, გზად მი-დიოდა და ჩვენს დანახვაზე ცხენი ჩვენს-კენ შემოატრიალა.

— ტყის ნიშანი რომ გაჩვენო, არც მა-შინ დაიჯერებ?

—რა ურწმუნო მენა მნახე, რომ მაჩვენო დავიჯერებ, მაგრამ ვერ მაჩვენებ — ხომ გეუბნები აქ გავიზარდე, ხომ ხედავ ჯალარა შემერია და მე ტყის გეში აქ არ მინახავს.

— მაშ კარგი, სანაძლეოდ ჩემი დურბინ-დი და შენი ხანჯალი. ვეუბნები, კარგი ხანჯალი ერტყა წელზე.

— ბაშუსტა, კეთილი.

— ჩამო ცხენიდან, მიუშვი ბალახზე! — და გავიყოლე ქვაყრილზე, 10-15 წუთის წინათ იქ ნანახი მქონდა ტყის ასეთი ნაშ-თები.

— არა ძმავ, ტყეულად ხტი მაგ კლდეებ-ზე, მთაში ნაჩვევი კი ყოფილხარ, მაგრამ შენი დურბინდი მე მერგება.—ამბობდა დინ-ჯად და მომდევდა კვალდაკვალ.

— აი ეს რა არის? — ვაჩვენებ [illegible] გართხმულ ბუჩქებზე. აქ იყო მთის ბუნა, ცირცელი, მორთოლავი ვერხვი, რამდენიმე ფიქვიც კი. ჩემი მონაძღვევე გაჩერდა, დახე-და, მოწყვიტა, წელში გაიმართა, რაღაც უნ-და ეთქვა, მაგრამ არა სთქვა რა, ქამარზე ხელი გაისვა. მე გამეცინა და შევაჩერე.

— ბიჭო და რა გგონივარ, ყიჩაღი ხომ არ ვარ მთაში კაცს ხანჯალი შემოვხსნა და ისე გაუშვა. სანაძლეო სიტყვაზე იყო, თო-რემ...

—შენ ძმაო, მართლა რომ ჩვენებური კა-ცი ყოფილხარ, მოდი ძმაო, ხურჯინში პა-ტარა რამ საკძალი მაქვს, პური ერთად გავტეხოთ.

მხიარულად წავედით ცხენისაკენ, ჩემი თანამგზავრები გამხიარულდნენ. მგზავრმა ცხენს ხელი წაავლო, წინ გაუძღვა. „წყა-როზე ჩავიდეთო“—სთქვა. ოჰ, ეს წყარო, ქართული ჩვეულება, ქართველი მგზავრის საყვარელი ადგილი, წყალი რომ არ სწყუ-როდეს კიდეც, უეჭველად მივა, ხელს გადი-ბანს ცოტას მაინც დალევს.

წყაროს პირას ჩამოვსხედით, ხურჯინს პირი მოხსნა, ამოალაგა ყველი, ორი ნაჭა-პური, ცივად მოხარშული ცხვარი, პატარა ტიკით არაყი, ჩვენც გვქონდა აბგაში ზოგი რამ, მხიარული სუფრა გაიშალა. მეტად ტკბილი მოსაუბრე გამოდგა ჩვენი მეცხვა-რე, ბევრის მნახველი და ბევრის მცოდნე. ალვანელი, ჩალმა თუში. „რომ ჩამოხვალ ოქითკენ, უეჭველად მნახე, უეჭველად“.

ჩემთანაც დავიპატიჟე, „ჩვენ ეხლა მეგო-ბრები, ნათესავები ვართ, გზაში, პური ერ-თად გვაჭამე გატეხილიო“. მეუბნებოდა.

დაგვეწინა, ურთიერთს რომ დავცილდით, მაგრამ დრო იყო უკვე გაყრისა.

დაპირება ურთიერთისა შეესრულეთ. თბილისში ერთი-ორჯერ ჩამომიარა ჩემმა მთაში ნანახმა მეგობარმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაშენებული ცხოველები

ულსოვარ დროს დედამიწაზე ცხოვრობდნენ უზარმაზარი ცხოველები. ზოგი მათგანი იმოძღვრა იყო, რომ მაღალი ხეების კენწეროებს სწვდებოდა და იქ ჰამდა ფოთლებს, ზოგმა ფრენა იცოდა, ზოგმა — ცურვა. დღევანდელი ცხოველები მათგან წარმოიშვნენ.

პირველად ყველა ცოცხალი არსება წყალში ცხოვრობდა. ზოგი მათგანი რბილტანიანი იყო, უხერხემლო. მილიონ წელთა ძანძილზე გაჩნდნენ ნამდვილი თევზები, ზღვის დიდი ღრიანცლები და ჯაკვშნის მაგვარი ტყავით დაფარული თევზები. მერე გაჩნდნენ დიდი ცხოველები, რომლებსაც წყალშიც შეეძლოთ ცხოვრება და ხმელეთზეც, როგორც ახლანდელ ჰიპოპოტამს. მერე წარმოიშვნენ უზარმაზარი ქვეწარმავლები—ზოგი მათგანი ხუთი სპილოს ოდენა იყო, თავი ხვლიკისა ჰქონდა, კბილები — ვეებერთელა. ზოგი მათგანი ფრინველად, ზოგიც ცურავდა და ხმელეთზეც დადიოდა. ამ ძფრიხავი ურჩხულებისაგან წარმოიშვნენ ფრინველები, უფრო გვიან კი — ბალნით დაფარული ცხოველები. იმ დროს ადამიანი არ არსებობდა.

ახლა არქეოლოგები, გათხრების რომ აწარმოებენ, სხვადასხვა ცხოველის ჩონჩხებს პოულობენ სხვადასხვა სიღრმეზე. უზარმაზარი ცხოველების ჩონჩხები მიწის ქვეშ ფენებშია ჩამარხული, მამასადამე, ეს ცხოველები უფრო ადრე ყოფილან, ვიდრე ისინი, რომლების ჩონჩხებიც უფრო ზედა ფენებში გვხვდება.

მილიონ წელთა განმავლობაში წყალი დაშრა, ტალახი ქვასავით გამაგრდა, შიგ ჩამარხული ცხოველები გაიხრწნენ, მათი ჩონჩხებები კი დარჩა. როგორც, მაგალითად, ბალნიანი სპილო მამონტი, რომლის გაყინული სხეული მთლიანად იპოვეს ციმბირში. ამ მამონტს ბალანიც კი არ გასცვენოდა. მისი ფიტული ლეხინგრადის ერთ-ერთ მუზეუმშია.

წყლის დაშრობის გამო აუარებელი წყალმცენარე და ცხოველები განადგურდა, მაგრამ ზოგიერთი წყალმცენარე შეეგუა ახალ პირობებს, ლამიანი ნიადაგიდან ილებდა საზრდოს; ზოგი თევზიც შეეჩვია ჰაერზე სუნთქვას და ხტომას. ეს თევზები ფარფლებსა და ბოლოზე ეყრდნობოდნენ ხმელეთზე სიარულის დროს. თანდათანობით, მილიონ წელთა განმავლობაში, ეს ფარფლები ფეხებად იქცა, ბოლო კი კუდად. ახლაც არიან ტროპიკულ ქვეყნებში ისეთი თევზები, რომლებიც ნაპირზე გამოდიან და ძაზე თბებიან, ზოგი თევზი კი, როგორც ბომი, ხეზე გადის და ტოტებში გაწვება.

დედამიწაზე თანდათან გაჩნდა მცენარეულობა, გაჩნდნენ უზარმაზარი ხვლიკები, დინოზავრები, ესე იგი „საშინელი ხვლიკები“.

ბრონტოზავრი

ერთ მათგანს ბრონტოზავრი ერქვა. ის სპილოზე ხუთჯერ უფრო დიდი იყო, სიგრძით 20 მეტრს აღწევდა და საშინელი დიდი თათები ჰქონდა. იყვნენ უფრო დიდი დინოზავრებიც, სიგრძით 30 მეტრამდე.

ყველაზე საოცარი იყო ტირანოზავრი, რომელიც უკანა ფეხებზე სწრაფად ხტოდა, თან კუდს ეყრდნობოდა. უკანა ფეხებზე შემდგარი ტირანოზავრი ტელეგრაფის ბოძის სიმაღლე იყო. მისი შიშით თრთოდნენ მაშინდელი ცხოველები.



მასტოდონტი

უძველეს ტყეებში დადიოდნენ მასტოდონტები, უზარმაზარი სპილოები, რომლებსაც ოთხი გრძელი ეშვი ჰქონდათ.

ერთ-ერთ ვეება ხვლიკს სტეგოზავრი ერქვა.

სტეგოზავრი

ჰაერში დაფრინავდნენ პტეროდაქტილები, რომლებიც ჩვენს ღამურას ჰგავდნენ, მაგრამ უზარმაზარი იყვნენ, ბასრი კბილები ჰქონდათ და გაშლილი ფრთების სიგანე 6 მეტრს უდრიდა.

ზღვებში იმ დროს ცხოვრობდა იხტიოზავრი, ანუ „თევზხვლიკა“, სიგრძით 6 მე-

ტრი, რომელიც ხმელეთზეც გამოდიოდა და მზეზე თბებოდა. იხტიოზავრის ჩონჩხს ხშირად პოულობდნენ იხვლისში. დღევანდელი აკულა იხტიოზავრის შთამომავალია.

პტეროდაქტილი

გადიოდა მილიონი, ასეული მილიონი წელი. დედამიწაზე ბრძოლა იყო არსებობისათვის. სუსტები, პირობებთან შეგუებელნი, გადაშენდნენ, უფრო ძლიერნი შეეგუენ ცხოვრების პირობებს. მეცნიერებმა ნამარხი ძვლების მიხედვით აღადგინეს უხსოვარი დროის ცხოველების სურათები.

მეცნიერებას, რომელიც შეისწავლის განვლილი გეოლოგიური ეპოქების ცხოველებს, პალეონტოლოგია ეწოდება. ამ მეცნიერებას საფუძველი ჩაუყარა მსოფლიოში ცნობილმა ფრანგმა მეცნიერმა ჟორჟ კუვიემ, რომელიც სხვადასხვა ქვეყნიდან მოტანილი ნამარხი ძვლებით აღადგენდა გადაშენებული ცხოველების სურათს.

ცხოველმა გაიარა აქ 150 მილიონი წლის წინათ

1935 წელს ჭუთაისის მახლობლად, სათაფლიას ცნობილ გამოქვაბულებიდან ოთხასიოდე მეტრის დაშორებით მხარეთმოცდენ ა. ჯაბუკიანმა კირქვის შრეების ზედაპირზე შეამჩნია უცნაური კვალი.

კირქვის ზედაპირზე აღბეჭდილი იყო ორმოცამდე სამთითა ნაფეხური, რომლებიც მიიმართებოდნენ 25 მეტრ მანძილზე, ხოლო შემდეგ, ქვიშაქვიანი თიხის შრის ქვეშ იმალებოდნენ. როდესაც ეს შრე აიღეს, მის ქვეშ ასეთივე ნაფეხურები აღმოჩნდა. ნაფეხურების კანონზომიერი განლაგება და ამათი ფორმა არ ჰბადებდა იქვს, რომ ესენი რომელიღაც ცხოველს ეკუთვნოდნენ.

ამ ნაფეხურების შესწავლამ საშუალება მისცა მეცნიერებს დაედგინათ ამ ცხოველის „ვინაობა“. ეს ორმოცდაათი მილიონი წლის წინათ, ხანაში, რომელსაც გეოლოგები „ცარცულ პერიოდს“ უწოდებენ, ის მიდამოები, სადაც დღეს ჭუთაისია, წყალთნელი ზღვით იყო დაფარული. სათაფლიას მთის მახლობლად ამ ზღვის ნაპირი იყო.

ეს ის დრო იყო, როდესაც დედამიწაზე ცხოვრობდნენ უზარმაზარი ხელიკისებრი ცხოველები — დინოზავრები. დინოზავროა გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო ცხოველი იგუანოდონი. მისი ძვლები და ძთელი ჩონჩხიც კი ნაპოვნია ძრავალ ადგილას, ისეთსავე შრეებში, როგორც სათაფლიას კირქვებია.

იგუანოდონი ძუძუმწოვარა, ბალახისმჭამელი ცხოველი იყო. იგი ორი ფეხით დადიოდა, ორი წინა კიდური კი ხელების მოვალეობას ასრულებდნენ. როდესაც იგი იდგა—კუნს ეყრდნობოდა. მისი სიმაღლე მაშინ 4½ მეტრს აღწევდა, ესე იგი იგუანოდონი თითქმის სამჯერ უფრო მაღალი იყო ადამიანზე. მისი სიგრძე თავიდან კუდამდე 10 მეტრი იყო. ცხადია, რომ ამ სიმაღლე ცხოველი თავისუფლად სწვდებოდა ხეებიდან ფოთლებს, რომლებითაც იკვებებოდა.

იგუანოდონი

იგუანოდონს ფეხზე სამი თითი ჰქონდა, ხელებზე ხუთი. ამათგან ცერი, რომელიც ძალიან დიდი და განვითარებული იყო, საბრძოლო იარაღის მოვალეობას ასრულებდა.

დიდი ხანია დაიხოცნენ იგუანოდონები. მათი არსებობის ნასახიც კი გაჰქრა დედამიწის ზედაპირზე. ზღვამ, რომელიც ამ მიდამოებში იყო, დაიხია და ჩადგა თავის დღევანდელ კალაპოტში. ხმელეთმა ამოიწია ზვეთ.

კირქვის შრე, რომელშიც აღიბეჭდა იგუანოდონის ნაფეხური, დაიფარა სხვა შრეებით.

გაიარა კიდევ მილიონობით წელმა. დედამიწის ზედაპირი სახეს იცვლიდა. წყალმა გადარეცხა ზეციდან მდებარე შრეები და დღის სინათლეზე გამოიტანა გაქვავებული ნაფეხურები, ანუ, როგორც მას გეოლოგები უწოდებენ —ნამარხი კვალი ცხოველისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

:: მითოლოგიის ::
ლექსიკონი

კოსმოსი — სამყარო, მსოფლიო. ძველი ბერძნების წარმოდგენით კოსმოსი („წესრიგი“) წარმოიშვა ქაოსისაგან („უწესრიგობისაგან“) შემდეგნაირად: თავდაპირველად იყო მხოლოდ უსასრულო, მარადიული ქაოსი — სტიქიათა უწესრიგო ბრძოლა. მაგრამ ქაოსი შეიცავდა სიცოცხლის ჩანასახს, ამიტომ შემდეგში მისგან წარმოიშვა მთელი სამყარო და უკვდავი ღმერთები. პირველად ქაოსისაგან წარმოიშვა მიწა — ქალღმერთი გეა. მიწამ წარმოშვა ყოველივე, რაც მასზე ცოცხლობს და იზრდება. მიწას გამოეყო ცა — ურანოსი, შემდეგ ქვესკნელი, მიწისქვეშა ჯოჯოხეთი — ტარტაროსი და ზღვა — პონტოსი. ქაოსისაგან წარმოიშვა აგრეთვე ყველაფერის გამაცოცხლებელი ძალა სიყვარული — ეროსი, მარადიული წყვდიადი — ერებოსი და ბნელი ღამე — ნიუტა. მათ, თავის მხრივ, წარმოშვეს მარადიული სინათლე — ეთერი, დღე — ჰემერა. მოეფინა ყოველივეს სინათლე, და ამ დროიდან ერთმანეთს სცვლიან დღე და ღამე.

სამყაროს წარმოქმნის შემდეგ ურანოსისა და გეასაგან წარმოიშვნენ ტიტანები, ციკლოპები და ცენტიმანები, პონტოსისა და გეასაგან — ზღვის სხვადასხვა ღმერთები, ტარტაროსისა და გეასაგან — ტიფონი და გიგანტები.

თავდაპირველად სამყაროს განაგებდა ურანოსი. მას აუჯანყდნენ ტიტანები. ურანოსის ერთმა შვილმა, ტიტანმა ქრონოსმა (დრო) ხელთ იგდო სამყაროს გამგებლობა, მაგრამ შემდეგში თვით ქრონოსის გამგებლობა წაართვა მისმა უმცროსმა შვილმა ზევსმა. ზევსს, თავის მხრივ, ბრძოლა მოუხდა ზოგიერთ ტიტანებთან, მაგრამ დასძლია ისინი და მთელი სამყაროს გამგებლობა ასე გაანაწილა: სამყაროს მპყრობელი და, კერძოდ, ცისა და მიწის მფლობელი თვითონ დარჩა, ძმას პოსეიდონს (რომაულად ნეპტუნი) ზღვის მფლობელობა ჩაბარა, მეორე ძმას ჰადესს ანუ აიდს (რომაულად პლუტონი) — ტარტაროსის მფლობელობა.

ასეთი იყო ძველ ბერძენთა და რომაელთა

ფიდიასი. — ოლიმპის ზეესი

კოსმოგონია — სამყაროს წარმოქმნის შესახებ მოძღვრება და მათი თეოგონია — თქმულება ღმერთების წარმოშობის შესახებ.

განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი ძველი ხალხებისათვის ქვეყნის გაჩენა, გარემო ბუნების მოვლენები, სიზმარი, ძილი, სიკვდილი გაუგებარი მოვლენები იყო; მათ არ იცოდნენ ბუნების კანონები, ამიტომ ყოველ მოვლენაში ხედავდნენ რაღაც ზებუნებრივ არსებათა, ღმერთების ნება-სურვილის გამოვლინებას. მთელი სამყარო, ძველთა გაგებით, ასეთი ღმერთებით იყო სავსე, თვითეულ მოვლენას თავისი ღმერთი ჰყავდა. ამიტომაა, რომ მითოლოგიაში უამრავ ღმერთებზეა ლაპარაკი.

ზეესი — ძველი ბერძნების უზენაესი ღვთაება. ჰომეროსის პოემებში მას ჩვეულებრივ „ღმერთებისა და ადამიანთა მამა“ ეწოდება. მას ეწოდებოდა აგრეთვე „მეხთმტყორცნელი“ — ქუხლისა და მეხის ღმერთი, „ღრუბელთმფენტელი“ — წვიმის მომყვანი დედამიწაზე. ზეესის ძალაუფლების განუყოფელი ნიშანი (ატრიბუტი) არის მძიმე, შიშისმომგვრელი ეგისი ანუ ეგიდა (ფარი); აქედან ზეესს ეწოდება ხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლმე „ეგისისმპყრობელი“. გადატანითი მნიშვნელობით ახლა ეგისი (ეგიდა) ნიშნავს მფარველობას. ზევსისადმი მიძღვნილ ფრინველად ითვლება არწივი, მეფური ფრინველი, რომელიც ცის კამარაში ნავარდობს და იქიდან ელვად ეშვება მიწაზე.

ზევსს რომაელები იუპიტერს უწოდებდნენ.

ზევსის მითური (საზღაპრო) სიდიადე შესანიშნავი ოსტატობით ჰქონდა ასახული V საუკუნის (ძველი წელთაღრიცხვით) გენიალურ ბერძენ მოქანდაკეს ფიდიასს თავის ქანდაკებაში, რომელიც „ოლიმპის ზევსის“ სახელწოდებით იყო ცნობილი. ფიდიასის ზევსი სამეფო ტახტზე ზის. მარჯვენა ხელში გამარჯვების ქალღმერთის — ნიკეს გამოსახულება უჭირავს, მარცხენათი ოდნავ დაყრდნობილია არწივიან სკიპტრაზე. ზევსს სხეული სპილოს ძვლისაგან ყოფილა გამოქანდაკებული, თმა და წვერ-ულვაში ოქროსი ჰქონებია, მოსასხამი — ოქროსი, მომინანქრებული, ტახტი კი შავი ხისა, ძვლისა და ძვირფასი ქვებისაგან ნაკეთები. ტახტის კვარცხლბეკი განსაკეთებულ ხელოვნებით ყოფილა შესრულებული. მთელი ქანდაკების სიმაღლე 13 მეტრს აღწევდა. ფიდიასის ზევსი ისეთ წარმმატაც ჰ ზებუნებრივ შთაბეჭდილებას ახდენდა — თურმე მნახველზე, რომ ვინც თავის სიცოცხლეში ვერ ახერხებდა ამ ქანდაკების ნახვას, თავს უბედურად თვლიდა. ერთ-ერთი ძველი პოეტი, რომელსაც უნახავს ფიდიასის ზევსი, ასე ამბობს: „ან ღმერთი ჩამოსულა ციდან, რომ თავისი სახე ეჩვენებინა შენთვის, ფიდიას, ან შენ ასულხარ ცაში, რომ ღმერთი გეხილა“.

ქანდაკება დადგმული იყო ოლიმპიაში (სამხრეთ საბერძნეთი, ელიდა) ზევსის ტაძარში. ეს ქანდაკება დაიღუპა, მაგრამ როგორ და როდის—ორაა ცნობილი. ვატიკანის მუზეუმში (რომი) დაცულია იუპიტერის მარმარილოს ქანდაკება.

ოლიმპო — მთა ჩრდილოეთ საბერძნეთში თესალიასა და მაკედონიას შორის. ძველ ბერძენთა ღმერთების ადგილსამყოფელად ითვლებოდა, ამიტომ მათ, ამ ღმერთებს ოლიმპელები ეწოდებოდათ. ახლა გადატანითი მნიშვნელობით დიად, უაღრესად მშვიდ, აუშფოთველ ადამიანზე იტყვიან ოლიმპელია, ოლიმპური სიმშვიდის ადამიანიაო. ასე, მაგალითად, V საუკუნის (ძველი წელთაღრიცხვით) ათენის უდიდეს სახელმწიფო მესვეურს პერიკლეს ოლიმპის ზევსს უწოდებდნენ, ოლიმპელს უწოდებდნენ ბერძენ ფილოსოფოსებს, ოლიმპელს უწოდებდნენ ბერძენ ბოგანოებს, ოლიმპელს ეძახდნენ ბერძენ ბერებს, ოლიმპელს ეძახდნენ ბერძენ ბერებს, ოლიმპელს ეძახდნენ ბერძენ ბერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეოგრაფიული სახელწოდებანი

გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა განმარტებას დიდი მნიშვნელობა აქვს გეოგრაფიისა და ისტორიის შესწავლისას. თვით ჩინური საახელწოდებებიც, რომელთა დამახსოვრება მეტად ძნელია, ადვილი გასაგები გახდება, თუ მათ მნიშვნელობას ავხსნით. მაგალითად, „ნან"—ჩინურად ნიშნავს სამხრეთს; „დუნ" — აღმოსავლეთს; „სი" — დასავლეთს; „შან" — მთას და ა. შ. აქედან სახელწოდებანი: „შან-დუნი" — ე. ი. მთის აღმოსავლეთით, „შან -სი" — მთის დასავლეთით; „ნან-შანი" — სამხრეთის მთები და სხვ.

იმ მიზნით, რომ მოსწავლე-პიონერებს გავუადვილოთ მუშაობა გეოგრაფია-ისტორიის სწავლების დარგში, ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე მოვათავსებთ მთელ რიგ მნიშვნელოვან გეოგრაფიულ სახელწოდებათა და ტერმინთა ახსნა-განმარტებას.

ბათომი — უძველეს დროში წარმოადგენდა ბერძენთა კოლონიას. ბერძნულად „ბათოს" ან „ვთოს"—ნიშნავს სიღრმეს, ე. ი. „ღრმა ნავსადგურს".

ბაქო —დაარსდა მე-5 საუკუნეში. სახელწოდება წარმოსდგა სპარსული სიტყვიდან „ბაადკუ" ე. ი. „ქართა ქალაქი". მართლაც ბაქოში ქარი გამუდმებით ჰქრის.

ბუდაპეშტი — უნგრეთის დედაქალაქი. უნგრულ ენაზე ნიშნავს „ქოხს გამოქვაბულთან" („ბუდა" — ქოხი, კარავი, „პეშტი" — გამოქვაბული, ღვიძე).

ამერიკა — აღმოაჩინა კოლუმბმა 1492 წელს, მაგრამ გეოგრაფ მარტინ ვალდეემიულერის წინადადებით უწოდეს ამერიგო ვესპუჩის სახელი. ამ უკანასკნელმა სამჯერ იმოგზაურა ახლად აღმოჩენილ ქვეყანაში. აღსანიშნავია, რომ ახლად აღმოჩენილ ქვეყანას ჯერ „ბრაზილიას" უწოდებდნენ, 1517 წელს კი ერთ გლობუსზე ეწერა: „ამერიკა ანუ ბრაზილია ანუ თუთიყუშების ქვეყანა".



ბელგრადი — რუსულად „თეთრი ქალაქი".

ბრანდენბურგი — პროვინცია პრუსიაში. გერმანულად ნიშნავს „ტყის დაცვას". სახელწოდება წარმოსდგა სლავური სიტყვა „ბრანიბორისგან", გერმანელებმა კი ეს სახელი გადააკეთეს და დაამახინჯეს.

აფრიკა — თანამედროვე ტუნისსა და ალჟირში ძველად ცხოვრობდა ტომი „აფრიკ; შემდგომ ამ ტომის სახელი მთელ კონტინენტს დაერქვა.

ჰოლფსტრიმი — ინგლისურად ნიშნავს „უბის დინებას". იგი მექსიკის უბიდან იწყება და ატლანტის ოკეანეზე გავლით ჩრდილო ევროპისაკენ მიედინება. ეს სახელი დინებას უწოდა ცხობილმა ამერიკელმა მეცნიერმა ბენიამინ ფრანკლინმა.

ბაბ-ელ-მანდები (სრუტე მეწამულ ზღვასა და ინდოეთის ოკეანეს შუა) არაბულად ნიშნავს „ცრემლის ჭიშკარს". სრუტეში ბევრია მეჩეჩები, რის გამოც უწონ უამრავი ხომალდი იღუპებოდა.

დარიალი—ან „დარ-ალან" ე. ი. ალანთა (ოსების წინაპრებია) კარი, ჭიშკარი, ქართველები ეუწოდებთ „ხევის კარს" ან „არაგვის კარს", ბერძნები—„კავკასიის კარს", არაბები—„ბაბ-ელ-ალანს" (ე. ი. ალანთა კარი).



ევერესტი — მსოფლიოში უმაღლესი მწვერვალი (ჰიმალაის მთებზე), რომლის სიმაღლე 8.884 მეტრს უდრის. მწვერვალს უწოდეს ოსტინდოეთის ტოპოგრაფიული განყოფილების უფროსის გ. ევერესტის სახელი. ტიბეტელები უწოდებენ „ჩომოლუნგმას", რაც „მიწის ღვთიურ დედას" ნიშნავს.

ევროპა — ფინიკიური სიტყვა „ერებ" (ან „ირიბ") ნიშნავს დასავლეთს, სიბნელეს — იგულისხმება მზის ჩასვლა.

აზორის კუნძულები (ატლანტის ოკეანეშია) — სიტყვა „აზორეს" პორტუგალიელთა ენაზე ქორს ნიშნავს. ამ კუნძულზე პორტუგალელებმა უამრავი ქორი ნახეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვინ გაიმარჯვებს?

II სერია

1. დასახელეთ მარტივი ნივთიერებები, რომლებიც ჩვეულებრივ პირობებში თხევად მდგომარეობაში არიან.
2. რა უფრო თბილია — სამი ხალათი თუ ხალათი სამმაგი სისქისა?
3. დასახელეთი ისეთი ფრინველი, რომელიც დადის, მაგრამ არ ფრინავს.
4. დასახელეთ ისეთი ფრინველი, რომელიც არ ფრინავს, ცუდად დადის, მაგრამ შესანიშნავად ცურავს.
5. რომელი ცხოველი ცოცხლობს 300 წელს?
6. რამდენი დღე იარსება პარიზის კომუნამ?
7. როდის დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი და სად?
8. ვინ გამოიგონა ეგრეთწოდებული არაბული ციფრები, ახლა საყოველთაო ხმარებაში რომ არის?
9. რატომაა თბილისის დრო ერთი საათით წინ მოსკოვის დროსთან შედარებით?
10. რატომ აქრობს წყალი ცეცხლს?
11. რამდენი ციფრი ჰქონდათ ხმარებაში რომაელებს?
12. რამდენს იწონის ერთი ლიტრი წყალი ცელსის 4 გრადუსზე?
13. დედამიწის ზედაპირის რა ნაწილია დაფარული წყლით?
14. მსოფლიოში რომელი მდინარეა ყველაზე გრძელი?
15. რამდენი ოკეანეა დედამიწაზე?
16. რატომაა რომ ჩვენ ჯერ ელვას ვხედავთ, კუხილი კი შემდეგ გვესმის?
17. დასახელეთ ქვეყნის ნაწილები.
18. დასახელეთ ქვეყნის მხარეები.
19. დასახელეთ ცნობილი ამერიკელი მწერალი, რომელიც ინგლისის ქალაქის სახელწოდებას გვარად ატარებდა.
20. დასახელეთ „გულივერის მოგზაურობის“ ავტორი.

შინაარსი

ბაყაფლა მრეველშვილი—მებრძოლობა დედა (ლექსი) . . . . . გარეკანის მე-2 გვ.
3. მაიაკოვსკი—ვლადიმერ ილიჩ ლენინი (ნაწყვეტი პოემიდან) . . . . . 1 „
კ. პაუსტოვსკი—ლეგენდა ფაინერდინზე (ნაწყვეტი „ყარაბაღიანიდან“. თარგმანი შ. გვინჩიძისა) . . . . . 2 „
გიორგი ქუჩიშვილი—პიონერთა შეკრება-ზე (ლექსი) . . . . . 3 „
ანდორ გაბორი—ბაიმარჯოს კომფუსს (ნოველა. გადმოკეთებული შ. გვინჩიძის მიერ) 4 „
მურმან ლებანიძე—თქვენი მერხიდან წასული (ლექსი) . . . . . 5 „
ვანო წულუკიძე—სასიკეთოდ მწერალი . 6 „
ირაკლი აბაშიძე—შიშია (ლექსი) . . . . 7 „
კარლო კალაძე—საიდუმლო ბარათი (პოემა. დასასრული) . . . . . 8 „
ალეკო შენგელია—ყვავილების სურვილი (ლექსი) . . . . . 10 „
ელენე აგლაძე—თბილისის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლე . . . . . 11 „
ანა ხახუტაშვილი—ღამის ზღაპარი . . . 14 „
ოთარ ჭილაძე—პიონერის წერილი (ლექსი) . 16 „
ნინო ნაკაშიძე—თბილისი (ლეგენდა. დასასრული) . . . . . 17 „
ნიკოლოზ კანდელაკი—ერეკლე მეორე (ფურცლები საქართველოს ისტორიიდან) . 21 „
აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი—როგორ დაამარცხა ბალახმა მუხა . . . . . 24 „
შალვა თაბუკაშვილი—გადაშენებული ცხოველები . . . . . 27 „
კოტე ჯავრიშვილი — ცხოველმა გაიარა აქ 150 მილიონი წლის წინათ . . . 28 „
შ. გვინჩიძე—მითოლოგიის ლექსიკონი . . 29 „
გრ. ზარდალიშვილი—გეოგრაფიული სახელწოდებანი . . . . . 31 „
ვინ გაიმარჯვებს? . . . . . 32 „
გასართობი . . . . . გარეკანის მე-3 გვ.

გარეკანზე მხატვარ სევ. კეცხოველის ნახატი „გა ზაფხული“.

პასუხისმგებელი რედაქტორი—თ. გელიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 28. ტელ. № 3—81—85.

უე 07240 82×110 1/16 ქაღ. ფურც. 367/2 ბეჭდი. ნიშ. თ/ბეჭდ. ფურც. 4 ბეჭდვ. ფურც. გამომც. შეკვ. № 26
ლ. პ. ბერიას სახელობის პ/კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28, შეკვ. № 581, ტირაჟი 7000
ჟურნალის გარეკანი დაბეჭდილია საქ. სსრ კვების მრეწვ. სახ. კომისარიატის ლითოგრაფიაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გასართობი

კენტ რიცხვთა ჯამი

ერთხელ თემურმა, მკითხა: — შეგიძლია სწრაფად მითხრა, თუ რას უდრის ყველა კენტ რიცხვთა ჯამი ცხრამეტამდე ჩათვლით?

— ვცდი, — ვუპასუხე მე.

ავიღე ფანქარი და დავიწყე წერა: 1, 3, 5,7,9,11,13,15,17,19.

შემდეგ შევუდექი მათ შეკრებას, მაგრამ თემურმა მითხრა:

— ეჰ, ჩემო ძმაო, ასე ხომ გადავყვებით ამის ანგარიშს. მაშ მითხარი, რას უდრის ყველა კენტ რიცხვთა ჯამი ორმოცდაცხრამდე ჩათვლით?

— არა, თემურ, — ჩავიქნიე მე ხელი.— ეს ხომ უფრო ძნელია. პირველად ვერ გიპასუხე სწრაფად და ახლა უფრო გაართულე ამოცანა?

— მაშ, მე მიყურე როგორ სწრაფად ვიანგარიშო. ამისათვის მხოლოდ საამ მარტივი მოქმედება საჭიროო. უკანასკნელ მოცემულ კენტ რიცხვს უნდა მივუმატოთ 1. ჯამი გავყოთ 2-ზე, მიღებული რიცხვი გადავამრავლოთ თავის თავზე. მაგალითად:

49+1=50

50:2=25

25×25=625

625 არის ყველა კენტ რიცხვთა ჯამი 49-მდე ჩათვლით. აი, ამ ხერხით გამოიანგარიშე ახლა შენ ყველა კენტ რიცხვთა ჯამი, მაგალითად, 31-მდე ჩათვლით.

— კარგი, — ვუპასუხე მე.

31+1=32

32:2=16

16×16=256

— აი ესაა და ეს. მარტივად და სწრაფად კეთდება, არა? — სთქვა თემურმა.

გამოცანები

1. არც ინაყება და არც იშრება,
ყოველ არსებას ოგი სჭირდება.

---

2. უფრთო არის, მაგრამ დაჰქრის
ხან დაბლა და ხანაც მაღლა,
დიდი ცემის ამტანია,
მან არ იცის რაა დაღლა.

---

3. უსულო და პაწაწინა —
მას საჭმელად უყვარს რკინა.

მაიმუნები

(ინდური ამოცანა)

მაიმუნების ჯგუფი თავს ირთობდა თამაშით. ამ ჯგუფის ერთი მერვედი, კვადრატად აყვანილი, ტყეში დარბოდა, დანარჩენი 12 გორაკზე ასულიყო და იქიდან გაპყურადა.

რამდენი მაიმუნი იღებდა მონაწილეობას თამაშში?

იცით რა ღიღია მილიონი?

მილიონი ნაბიჯი 600 კილომეტრია (ერთი ნაბიჯი 60-70 სანტიმეტრია). მაშასადამე, მოსკოვიდან ლენინგრადამდე დანლოებით ერთი მილიონი ნაბიჯია.

მილიონ გვერდიან წიგნს სისქე 50 მეტრი ექნებოდა.

მილიონჯერ სათიუტრით აღებული წყალი 80-ვედროიან კასრს გავსებდა.

მილიონჯერ უფრო ძაღლი დადამიანი წარმოუდგენელი სიმაღლისა იქნებოდა. ადამიანის საშუალო სიმაღლეს თუ 170 სანტიმეტრს ჩავთვლით, მილიონჯერ უფრო მაღალ ადამიანს 1.700 კილომეტრი სიმაღლე ექნებოდა. 1 ის ერთი ნაბიჯის გადადგმით მოსკოვიდან ლენინგრადს მივიღწევდა, და თუ დაწვებოდა, ფეხები ლენინგრადში ექნებოდა, თავი კი ყირიმში.

ასეთი ადამიანი ჩვენთან შედარებით მრავლის მრავალჯერ უფრო დიდი იქნებოდა, ვიდრე ჯონატან სვიფტის გულივერი ლილიპუტებს შორის.

მილიონი დღე 27 საუკუნეზე მეტია. ჩვენ ახლა მეოცე საუკუნეში ვცხოვრობთ. მაშასადამე, ახალი წელთაღრიცხვიდან მილიონი დღე ჯერ არც კი გასულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა
2/340
2502